



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 393 2020 წლის 30 ივნისი ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ტრენინგებზე, რომელთა უზრუნველყოფა აუცილებელია ფრენებისა და სააეროპორტო მომსახურების შეუფერხებელი განხორციელებისათვის, აგრეთვე მეზღვაურებისა და საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი მძღოლებისა და შესაბამისი მენეჯერების

(ავტოსატრანსპორტო პროცესების მართვაზე პასუხისმგებელი პირი) მომზადებისათვის. აღნიშნული ტრენინგები უნდა ჩატარდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია